საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია. ფასი 2 მანეთი

ოთხშაბათი, 26 ნოემბერი 1919 წ. № 211.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ქვეყანა

რედაქცია (ღია 9—2 და 5—7).

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

კანტორა (ღიაა 9—2 და 5—7).

გაზეთის ფასი: ერთი თვით **50** მან. 3 თვით **130** მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე **2** მ. უკანასკნელზე **1** მ. **50** კ. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ **50** მ., **12** საათის შემდეგ **70** მ.

ნაფიცი ვექილი

მიხეილ ნიკიფორეს ძე ბერძული—იგივე ბერძულიშვილი

გადავიდა ივანოვის ქუჩაზე, ახდრონიკაშვილის სახლში, ზედა სართულში.

3—3.

დამღუპველი ხელშეკრულება.

საქართველოს მომმართველობის მთავარი სამმართველოს ილია გიტოს ძის ქარცივაძის პირით ფირმა „სიბუნიონ-ლიმიტტეთან“ ლონდონში რუმუნეთის ელჩის ბისტერ ნეოდ სმიტის პირით ისეთი სავაჭრო ხელშეკრულობა დაუდევს, რომელსაც, თუ გინდოთ, ეროვნული, შეუძლია რესპუბლიკა დაღუპოს.

მომმართველობის კომიტეტი აძლევს „სიბუნიონს“, როგორც კომისიონერებს, საზღვარგარეთ გასაყიდად მთელს სავალიუტო ქონებას (თუთუნს, მატყლს, სპილენძს, ტყის მასალას, ყოფილსა და სხ.), რომელიც კი ამ ჟამად რესპუბლიკის საწყობებშია ან შემდეგ იქნება.

„სიბუნიონმა“ გაყიდული საქონლის ღირებულების 20 % თვითონ უნდა დაიტოვოს, 80 % კი რესპუბლიკას უნდა გადასცეს.

მაგრამ ეს 80 % იმავე სიბუნიონს ექნება პურისა და სხვა საჭირო საქონლის საყიდლად, რომელიც რესპუბლიკას უნდა ჩააბაროს.

ამ მეორე ოპერაციაში „სიბუნიონს“ ეძლევა საკომისიოდ კიდევ 15 %.

იმავე დროს „სიბუნიონს“ აქვს უფლება იყიდოს რესპუბლიკაში 5 მილიონი სტერლინგის სავალიუტო და სხვა და სხვა საქონელი. მომმართველობის კომიტეტი ეხმარება სიბუნიონს ამ საქმეში 25 % ის ავანსად მიცემით და ნავსადგურამდის საქონლის მიტანით.

ამ საქონელში აღებული ღირებულების 30 % რჩება სიბულიონს, 70 % კი რესპუბლიკას.

ანგარიშები უნდა გასწორდეს ექვსთვეში ერთხელ!

საინტეროსოა, რომ სიბუნიონის წარმომადგენელი სმიტი მხოლოდ ფირმაა, ნამდვილად კი მოლაპარაკებას აწარმოებდა მომმართველობის კომიტეტთან ცნობილი გერმანი, „კუტისკაია ვესტისა“ და „ჩერნომორსკი ვესტნიკის“—ამ რეაქციონური გაზეთების—ყოფილი რედაქტორი და საქართველოს მოძულე.

იმავე დროს, თუმცა ხსენებულმა ფირმამ პირობის ძალით უნდა დამტკიცოს, რომ ინგლისური ფირმაა, ნამდვილად ის—„რუსული სავაჭრო კომპანიაა“.

ეს ხელშეკრულობა მით არის საშიშარი, რომ რესპუბლიკის მთელი მოძრავი გასაყიდი ქონება, რომელიც ჩვენი ფულის ვალიუტას საფუძვლად უნდა დაედვას, უსაწინდროდ აბარებენ რუსულ ფირმას, რომელიც, უეჭველია, საქართველოს დამოუკიდებლობის მტერია.

მინისტრის ამხანაგმა ავალიანმა განაცხადა: ჩვენთვის სულ ერთია, რუსია თუ სხვა ვინმე კონტრაგენტ: ოღონდ პირობა შეასრულოსო.

როგორ? მტერი და მოყვარე ერთგვარად სანდოა?!

მეორე: მტერიც, რომ არ იყოს, რესპუბლიკას თუ საწინდარი, გარანტია, არ ექნება, ხომ შეიძლება სულ დაეკარგოს ნისიად მიცემული! ფირმა შეიძლება გაკოტრდეს, ისიც შეიძლება, ანგარიში სწორად არ წარმოადგინოს.

მესამე: ექვსი თვის განმავლობაში რესპუბლიკას არაფერი სარგებლობა არ ექნება. მანამდისკი ფინანსური „კრახია“ შესაძლებელი.

მეოთხე: ფირმამ თუ ხელშეკრულობა არ აასრულა, ხომ ვერაფერს ვერ გადავახდევინებთ?!

მეხუთე! სავალიუტო საქონელთან ერთად ამ ფირმას უგარანტიოდ ვაძლევთ რესპუბლიკის დანარჩენ ქონებასაც და ვუზიდავთ ჩვენისავე რკინის-გზით ნავსადგურში,

მთელი ჩვენი ქონება ხსენებულმა ფირმამ უნდა ჩაიგდოს ხელში!

იმავე დროს არავითარი გარანტია არა გვაქვს, რომ არ დაგვეკარგება!

მაგრამ ყველაზე უფრო საკვირველი ის არის, გაზ. „ერთობა“ რომ მომმარაგების კომიტეტის მოქმედებას ამართლებს.

უცხოეთის ბურჟუაზია როცა უკეთესი პირობას გვაძლევს, მასვე უნდა ჰქონდეს უპირატესობაო, ბრძანებს მთავრობის ოფიციოზი.

მაგრამ აფუჩეჩებს, ხსენებული ფირმა რომ რუსული ფირმაა და მაშასადამე პოლიტიკური მხრით საეჭვოა, ვინაიდან რუსეთსა და საქართველოს შორის დღეს მეგობრობა არ სუფევს.

მეორე, ცალიერ დაპირებას ფასი არ აქვს მესამე; თუ რუსულმა ფირმამ გაიტანა, რაც კი რამე გაგვაჩნია, ინგლის - საფრანგეთ - იტალიასთან, რომელთა ხელშიაც არის საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის გადაწყვეტის საკითხი, რით-ღა უნდა დავინტერესოთ?!

მეოთხე, უცხოეთის იმ ბურჟუაზიას, რომელიც არავითარ გარანტიას არ იძლევა, განა შინაური ბურჟუაზია არ სჯობია, რომელსაც გარანტიას მოვსთხოვთ და პასუხს ვაგებინებთ?!

მეხუთე, რა უფლება აქვს მთავრობას გაანისიაოს რესპუბლიკის მთელი ქონება დამფუძნებელი კრების და უკითხავად? ამაოდ ცდილობს ფინანსთა მინისტრის ამხანაგი ბატონი ავალიანი უარი გვათქმევინოს საკანონმდებლო დაწესებულების ამ უფლებაზე!

დასასრულ, როგორც ვიცით, ილია ქარცივაძე გვარდიის შტაბის უფროსია, რომელსაც მეტად მძიმე მოვალეობა აწევს, როგორ შეიძლება, ის იმავე დროს მომმარაგების კომიტეტის თავმჯდომარეც იყოს! ან თვითონ როგორ იკადრა, ან მთავრობამ როგორ შეიწყნარა ასეთი შეთავსება?!

როდემდის იქნება ჩვენი ფინანსიური პოლიტიკა ასე მერყევი და შეუსაბამო?!

როდის ავირჩევთ სწორ მიმართულებას?!

ნესტარი.

დენიკინი არ სცხრება.

ჩვენი თავისუფლების და დამოუკიდებლობის მტერი თავსაც რუსეთი იყო და ბოლოსაც ის დარჩება.

ჩვენ ყოველთვის იმას ვამტკიცებდით, რომ რუსეთი როგორიც უნდა იქნეს, საქართველოს ერთგული და მეგობარი მაინც არ იქნება; რუსეთი დემოკრატიული იქნება თუ მონარქიული, სოციალისტური თუ არა სოციალისტური, საქართველოზე გაბატონებას მაინც მოინდომებს და ჩვენთვის თავისუფლებას მაინც ვერ გაიმეტებს. რუსეთი ისე ვერ გარდიქმნება, პოლიტიკურათ იმდენათ არ მომწიფდება, გონებრივ ისე არ დაწინაურდება და ეთიკურათ ისე არ ამაღლდება, რომ საქართველოს ღირსება დააფასოს და მას შესაფერი კავშირი დაუჭიროს.

მარტში გადემოკრატებულმა რუსეთმა რევოლიუციონერების მეთაურობით ვითომ განახლებულმა როგორც კი გაიგონა საქართველოს თავისუფლება, კერენსკისა და მილიუკოვის პირით სასტიკი მუქარა მოგვახალა.

ლენინ-ტროცკებს ხომ საქართველო სრულიად არ გაეგონებათ არც ეთნოგრაფულათ და არც ტერიტორიალურათ. ახლა მეორე მხრით დენიკინის სახით ძველმა რუსეთმა წამოყო თავი და ის ხომ ათასჯერ უარესია ჩვენთვის. სანამდი დენიკინი სუსტათ იყო და თეით რუსეთში ფეხს მოიკიდებდა, ჩვენზე არაფერს ამბობდა, მერე მოციქულათ ბარათოვიც კი გამოგზავნა, რომ ცბიერობით და ჩვეულებრივი სულიერი სიმდაბლით შეეცდინეთ და პოლიტიკურ მოლაპარაკებაში ჩავეთრიეთ.

ახლა ცოტა ფეხი მოიმაგრა და უწინ დაფარული შულლი ან უკვე ნამცხადევათ გამოაჩინა და გადაჭრით აცხადებს, რომ საქართველოსკენ არაფერი სასარგებლო არ წამოვიდეს. თავის ველურ განცხადებაში არც უნდა სთქვას, რომ ქართველები შავი ზღვის პირის პატრონი ვართ და იქ ვიმყოფებით. ის ამბობს: „რუსეთის ნაპირებიდან გემები იქ არ მიადგეს, რომელი ადგილებიც ქართველებმა დაიჭირესო“ ესე იგი ვითომ ბათუმი, ფოთი, ოჩემჩირე, სუხუმი და სხვა ჩვენი არც ყოფილიყოს და არც იყოს, არამედ დროებით დაგვეჭი-

დღიური.

ბოლშევიკებმა ქ. ნეუინი აიღეს.

ინგლისური გაზეთის ცნობით დენიკინმა კიევის ევაკუაციის ბრძანება გასცა.

დერბენტი კვლავ მეამბოხეებმა აიღეს.

მოხალისეებმა ლოზნოე აიღეს.

მოხალისეები პეტლიურას ფრონტზე უტევენ.

საბჭოთა მთავრობის რადიოს ცნობით ფრანგებსა და იტალიელებს შორის სკუტარში შეტაკება მოხდა.

პოლონეთსა და უკრაინას შორის დროებითი ზავი 10 დღეს გასტანს.

წ ე რ ი ლ ე ბ ი:

ვ. წერეთელი: დამღუპველი ხელშეკრულობა.

ტრ. ჯაფარიძე: დენიკინი არ სცხრება.

როს. აი სწორეთ, ასეთი წარმოდგენისაა დენიკინი და მასთან რუსეთის 99% რომ ჩვენ არც ხმელეთი გვაქვს და არც ზღვის კიდე, ჩვენ რუსეთის ნაწილი ვართ და ურუსეთოთ ცალკე არ ვარსებობთ.

აი ასეთი ბარბაროსი მტერი გვყავს ჩრდილოეთით და აშკარათ რომ ვერ შესძლო ჯერ აქ მოსვლა და ჩვენი განადგურება ჩუმი აგენტებით და ბნელი ელემენტების შემოგზავნით უნდა აქაობა წაბილწოს. ამ ნიადაგზე სწარმოებს მუშაობა და ჩვენც გვმართებს სიფრთხილე და სიმკაცრე, რადგან მასთან მხოლოდ მკაცარი ბრძოლა შეიძლება და მეტი არაფერი.

ბათუმის ყოფილი ქალაქის თავი-გოლიცინი იქაურ სასურსათო განყოფილებას პურს დაპირებია და ვითომ ამიტომ დენიკინთან დეპუტაციით წასულა, დეპუტაციაში ქართველი მაჰმადიანიც კი შეუტყუებია. დენიკინი პურს დაპირებია, მაგრამ თურმე იმიტომ, რომ ეგებ ბათუმიდან ნაცვლათ ნავთი და მაზუთი იშოვოს, რაც მისთვის ყველაფერზე უფრო, საჭიროა, რადგან მანქანებს ველარ ამოქმედებს. აი რა ხრიკებს ჩადიან მისი აგენტები, სარგებლობენ მით რომ ჩვენში პური ცოტაა, უნდათ საქმე გაამწვავონ და პურის საშვალებით მას ის უშოვონ, რაც საშუალებას მისცემს აქეთ წამოვიდეს.

ასეთ აგენტებს სასწრაფოთ გაძევება უნდა აქედან.

ჩვენში სამწუხაროთ გაბოლშევიკებულმა ელემენტმა მოიმატა. მდგომარეობა მათ ხელს უწყობს და ისინი მავნე პროპაგანდას ეწევიან. ამას ხედავს დენიკინის მომხრენი და შემთხვევით სარგებლობენ. მათ აქეზებენ და ხალხში ბოროტად ამოქმედებენ. ჩვენ ცნობები მოგვდის, რომ ხალხს ურჩევენ სანოვაგე გააძვირონ და მცხოვრებლები, ნამეტურ ქალაქებში მეტათ შეაწუხონ, რომ ამით ხელი შეუწყონ საერთო არეულობას და შიმშილობის ნიადაგზე აჯანყებას. ასეთ პირებს საჭაროთ ალაგმა უნდა, თორემ მათი გავლენა საზოგადოების სულიერ განწყობილებას ჩვენდა საზარალოთ შესცვლის.

ერთად ერთი სახიფათო ჩვენთვის არის შინაური მდგომარეობა; თუ უსურსათობამ და ხელოვნურათ შექმნილმა უთანხმოებამ ხალხი არ ააჯანყა, დენიკინი ვერას გვიზამს. მას აქეთ წამოსვლა უჭირს და რაც დრო გადის მისი საწინააღმდეგო ძალები იზრდება. ამ დღეებში შავი ზღვის პირას მცხოვრებმა რუსის გლეხობამ (სოჩის რაიონში) კავშირი შეკრა და დენიკინის საწინააღმდეგოთ ემზადება. თვით რუსეთში ბოლშევიზმი არა სცხრება და მოკავშირე სახელმწიფოებს მოსწყინდათ რუსეთის დამშვიდების ლოდინი და დახმარებაზე ხელს იღებენ. რუსეთის საერთაშორისო კავშირის გარეშე დარჩენა უკვე მოსალოდნელია.

ამიტომ მეტათ საჭიროა ყოველი მხრით ვეცადოთ შინაური გაჭირვება ავიტანოთ და ხალხი შეგნებას არ გადასცდეს და არეულობა არ მოახდინოს საჭიროა ხალხის დარიგება, საქმეში ჩახედვა და მისი გამოფხიზლება, რომ მტრის აგენტებმა შეცდომაში არ შეგვიყვანოს.

ტრიფონ ჯაფარიძე.

უცხოეთი

რ უ ს ე თ ი

მოხალისენი პეტროვსკში.

„გაზ. „ისკრა„-ს ატყობინებენ, რომ პეტროვსკში დღითი დღე გროვდებიან დენიკინის ძალები. ეს შეჯგუფება უფრო გაძლიერდა მას შემდეგ რაც მოხალისეთა არმიის წარმომადგენელი პოლკ. პეტროვსკიდან გაემგზავრა.

მოხალისეთა ორგანიზაციის აღმოჩენა პეტროგრადში.

პეტროგრადში აღმოაჩინეს თეთრგვარდიელთა ჯაშუშების ორგანიზაცია, რომელიც გენ. იუდენიჩს აჯანყების მოწყობაში ეხმარებოდა. ორგანიზაციაში 300 კაცამდე შედიოდა, განსაკუთრებით სამხედრო სპეციალისტები, რომელნიც წითელ არმიაში მსახურობდენ. ორგანიზაციის სათავეში სდგას „ვაჭრობა-მრეწველობის გაზეთის“ ერთი რედაქტორთაგანი — ბიკოვი. ორგანიზაცია ორი ნაწილისაგან შესდგება: 700 კაცისა და აგრეთვე რაზმისგან, როგორც ისინი უწოდებდენ, ხულიგანებისაგან. ორგანიზაციას კავშირი ჰქონია ჩვენს ყველა სამხედრო დაწესებულებებთან, მას აგრეთვე მუდმივი კავშირი ჰქონია იუდენიჩთან და ყველა სამხედრო და პოლიტიკური ხასიათის ცნობებს აწვდიდა მას ჯაშუშთა ორგანიზაცია სარგებლობდა ჩვენი საზღვაო რადიოსადგურით და აგრეთვე საჰაერო ფლოტით, საზღვარ გარეთთან დამოკიდებლებისათვის. ორგანიზაციას მჭიდრო დამოუკიდებულება ჰქონდა მოკავშირეებთან, რომელთაგან ის დიდ ძალს ფულს იღებდა. მიღებულ ფულს ათეული მილიონებით ანგარიშობენ. ჩვეულებრივ დახმარებასთან ერთად, მოლალატენი აგრეთვე პიტერის შიგნიდან აღების საქმესაც აწყობდენ. ამ მიზნით დაწყება აჯანყების მათ სურდათ იუდენიჩის პიტერთან მიახლოვების დროს. აჯანყებულებს ზურგიდან უნდა შემოეტიათ. კონტრ-რევოლიუციონერები იმდენად იყვნენ დარწმუნებული გამარჯვებაში, რომ იუდენიჩის შეტევის დროს დროებითი მთავრობაც ყავდათ ამორჩეული. შეთქმულების მონაწილენი დაპატიმრებულნი არიან.

ა მ ე რ ი კ ა.

საზავო ხელშეკრულების გარშემო.

„ჰავასმა“ ინტერვიუ მოახდინა ერთ წარჩინებულ ამერიკელთან იმ საკითხის გამოსარკვევათ, თუ როგორ იქნას გაგებული ამერიკის სენატის მიერ საზავო ხელშეკრულების გამო მიღებული გადაწყვეტილება და რაზე იქონიებს გავლენას ეს გადაწყვეტილება. რესპუბლიკანური პარტია, რომელიც საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდა, სცდილობს პასუხის მგებლობა ვილსონს მოახვიოს თავზე. შესაძლებელია კომპრომისი მოხდეს ტააფტის საქმეში ჩარევით. როგორც სჩანს, მდგომარეობა რამოდენიმეთ ირკვევა.

ხელშეკრულების რატიფიკაცია.

გერმანული პრესსა, ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ ამერიკის პოზიციას ასე არკვევს:

„გერმანია დიდ იმედებს არ ამყარებს ვერსალის ხელშეკრულებაში ამერიკის მიერ შეტანილ შესწორებაზე საზოგადოთ უფრო იმ გზას ადგანან, რომ ამერიკის მიერ ხელშეკრულების რატიფიკაციის უარის თქმა შემარიკებელი ფაქტორია (საზავო ხელშეკრულების პირობების ასრულებაში „ფორვერტსი“ და ბურჟუაზიული გაზეთები მოითხოვენ, რომ გერმანიამ არავითარი ფორმალური საბაბით არ ისარგებლოს თავის ვალდებულებაზე უარის სათქმელად. გერმანია ამ შემთხვევაში ოფიციალურათ უნდა მოიქცეს და ხელი შეუწყოს იმ მდგომარეობიდან გამოსვლას, რომელიც ამერიკის განდგომით შეიქმნა, ანტანტის მთავრობებმა თავისი მხრით უნდა იცოდნენ, რომ გერმანიას უფლება აქვს გამონახოს თავის დასაცავი საშუალება იმ შავბნელ შედეგებიდან, რაც ამერიკის განდგომის გამო არის მოსალოდნელი. ამერიკის განდგომა ძლიერ ცუდათ იმოქმედებს ხალხთა ლიგის შექნაზე.

ქურნალ გაზეთებიდან.

ხელშეკრულება საბერძნეთთან

მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ მოიწონა ხელშეკრულების ტექსტი, რომელიც უნდა დაიდოს მოკავშირეთა, შეერთებულ მთავრობებსა და საბერძნეთთან უმცირეს ეროვნებათა უფლების დაცვის შესახებ.

მხატვარ როლლის გარდაცვალება

პარიზიდან იტყობინებიან ფრანგულ საზოგადოების ხელოვნების პრეზიდენტის მხატვარ როლლის გარდაცვალებას. როლლი 72 წლის იყო.

ოსმალო სტუდენტები გერმანიაში

ოსმალო სტუდენტებიც, რომელნიც სწავლობდენ გერმანიაში, ოსმალეთის სამხედრო სამინისტროს ხარჯზედ იძულებულნი იყვენ დროებით ზავის ჩამოგდების შემდეგ დაბრუნებულიყვნენ შინ სწავლის გასაგრძელებლად, ისინი დროებით გაგზავნეს შვეიცარიაში. ზავის შეკვრის შემდეგ ისინი გაიგზავნებიან დასავლეთ ქვეყნებში.

ამერიკა და საზავო ხელშეკრულება

ვაშინგტორიდან მიღებულ ცნობებით, 38 სენატორი, მათშორის 20 რესპუბლიკანელი და 18 დემოკრატი მზად არიან უარყონ საზაო ხელშეკრულების რატიფიკაცია, თუ ვილსონი არ სცნობს ნამდვილად შესწორებულ რატიფიკაციას.

მუშების დაპატიმრება ბალაჯარაში

ბაქოს გაზეთები იტყობინებიან, ამ დღეებში დააპატიმრეს ბრალდების წაუყენებლივ და უმიზეზოთ შემდეგი პირები: ლარინი, ლიახოვი, კოინოვი, ბაიმაროვი და სხვა. ერთი დაპატიმრებულთაგანი გაიგზავნა დენიკინთან, პეტროვსკში, მეორე გაგზავნეს ბაქოში, მესამე გაანთავისუფლეს და სხვები იმყოფებიან ბალაჯარის ჟანდარმთა განყოფილებაში.

დაპატიმრება მოახდინეს რკინის გზის ჟანდარმერიის მოხელეებმა.

ფიქრობენ რომ მუშების მასიური დაპატიმრება მოხდება.

ბათომ-ყარსი

რკინისგზის ხაზის გაყვანისათვის ბათომ-ყარსსა ლ შემდეგ სპარსეთით ინდოსტანში დახარჯული იქნება კაპიტალი და ტეხნიკური ძალები როგორც ინგლისის, ისე შეერთებული შტატებისა. ორივე ქვეყნის მთავრობანი, რომელნიც აძლევენ დიდ ეკონომიურ მნიშვნელობას ამ უდიდეს გზას, ღებულობენ ყოველნაირ ზომებს მის მოკლე ხანში გასაკეთებლად.

მოხალისეთა ფლოტის შეკეთება.

„მოხალისეთა“ სარდლობა თავის ფლოტის შეკეთებას აპირებენ ბაქოში.

სატარიფო პალატის დადგენილება.

კვირას, 23 ნოემბერს, სატარიფო პალატის სესიამ ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის მუშების და მწარმოებლების წარმომადგენლების მონაწილეობით დაამტკიცა შემდეგი ტარიფები ამა წლის 1 ნოემბრიდან:

სამთო-სამრეწველო ამხ „შროშის“ მოსამსახურეებს და მუშებს მოემატათ 25 პროც.

ნაგვაზოვის ქარხნის მუშებს 18 პრ, სბროევაკას ქარხნის მუშებს — 25 პრ.

ზინგერის მაშინებით სავაჭროს მოსამსახურეებს — 40 პროც.

საქონლების საწყობების მუშებს 30 პროც.

ლაღიძის და ბეგოვის ელექტროენერგიის სადგურების მუშებს და მოსამსახურეებს — 40 პროც.

რადიუმის მოსამსახურეებს — 32 პრ.

სტამბის მუშებს და ასოთ-ამწყობებს — 40 პროც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქავთარაძის თამბაქოს ქარხნის მუშებს—30 პროც.

მეძმარიაშვილის თამბაქოს ქარხნის მუშებს—25 პროც.

დათეშიძის ხე-ტყის სახერხ ქარხნის მუშებს—25—30 პროც.

რუსეთის სატრანსპორტო საზოგადოების მუშებსა და მოსამსახურეებს—40 პროც

ხარაზებს—40 პროც.

საკანდიტეროებში მომუშავეებს—30 პროც.

ჩაის ქარხნების მუშებს - 50 პროც.

ახალი ამბავი.

სპირიდონ კედიას ლექცია, რომელიც გუშინ უნდა წაკითხულიყო, მომავალ შაბათ-კვირისთვის გადაიდო რადგან ლექტორი საქმეების გამო ქუთაისში ვერ ჩამოვიდა. ლექციის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

✦ **23 დეკემბერს** მასწავლებელთა კრებამ განათლების მინისტრს შემდეგი დეპეში გაუგზავნა:

✦ „დასავლეთ საქართველოს საშუალო და სახალხო სკოლების შეერთებულმა კრებამ 23 ნოემბრის სხდომაზე გამოიტანა შემდეგი დადგენილება: მოემატოს არსებულ ჯამაგირს, ძირითადს ყველა დამატებებით, ასი პროცენტი საშუალო და უმაღლეს დაწყებით სკოლების მასწავლებელთათვის, ხოლო სახალხო სკოლების მასწავლებლებს ორასი პროცენტი პირველი სექტემბრიდან მომატებული ჯამაგირების განსხვავება უნდა მიიღონ მასწავლებლებმა არა უგვიანეს პირველი დეკემბრისა თუ ეს მოთხოვნილება ხავსებით, ე. ი. იგი, თუ რომელიმე მუხლი ზემოხსენებული ჰოთხოვნილებისა დაკმაყოფილებული არ იქნა, იმ შემთხვევაში, თანახმად შეერთებული კრების დადგენილებისა, მასწავლებლობა სწყვეტს სწავლას ოცდა ცხრა ნოემბრიდან“.

ამ დეპეშის ასლი გაეგზავნათ: 1) მთავრობის თავმჯდომარეს, 2) დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეს, 3) აღმოსავლეთ-საქართველოს საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კავშირს გამგეობას, 4) სახალხო სკოლების მასწავლებელთა კავშირის გამგეობას.

კრების თავმჯდომარე **ჯაჯუ ჯორჯიკია.** მდივანი **მელიტონ ჩეჩელაშვილი.**

✦ **საქართველოს კონსული დონის როსტოვში.** საქართველოს კონსული დონის როსტოვში **ბ. დანიელ ქინქლაძე** ამ ჟამად ქუთაისში ჩამოვიდა.

✦ **ტყეები და მიწის ნორმა.** დამფუძნებელი კრების აგრარულ კომისიამ დაადგინა დამფუძნებელ კრებაში შეიტანოს დეკრეტის პროექტი, რომლის მიხედვითაც წვრილი მესაკუთრეებს მიწის ნორმაში უნდა მიეზომოთ ისეთი ტყეების ნაწილები, რომლებიც არ წარმოადგენენ სახელმწიფოებრივ ღირებულებას, როგორც მაგ. ტყის ნაკვეთები, ბუჩქნარიანი ადგილები, სოფელში მდებარე ტყეები და სხვა.

* * *

ასრულდა, რასაც ველოდი,
რასაც ვხედავდი ზმანებით
და იდუმალთ ვიტყოდი
ზღაპრათ და გამოცანებით!
ასრულდა ჩვენი ოცნება,
გულისთქმა სანატრიონი,
რასაც დუდუნით გვითხრობდა
იქ მტკვარი, აქეთ რიონი!...
და სული მამაპაპური
გაგვამხნევებდა ქველობით,—
ჭირში სიმტკიცეს გვაძლევდა
მოთამარ-რუსთაველობით.
აწ ხარობს გული ქართველისა
ვით ზაფხულს ვარდნი, იანი!
დაგვღიმის დიდი ილია,
აკაკიც ენა-მზიანი!
ვაჟას და სანდროს ხომ ხედავთ
ხელი ხელს გადახვეულან,
ამას მთის მოციქულები
სიცოცხლეშივე ჩვეულან!..
და ნიკოც, გულდათუთქული
ქართველთა უბედურებით,
გახსოვთ, ერეკლეს ახჩობდა
მყარ-მწარე საყვედურებით!..
ასრულდა დიდი ოცნება
დიდი მამულიშვილების,
მათ სულს სხივები ფენია
შვების და კეთილშობილების!..

მაშ, რაზე გვწყდება აწ გული?
ეს რაღა ცოდვა—ბრალია?!.
რაც უკვდავია—ჩვენია!
რაც არა—წარმავალია!..
ახლად ფეხადგმულს ბარბაცი
სჩვევია, ესეც ვალია!..
გუშინ არ იყო, გვიპყრობდა
რკინის ხუნდი და გალია!!.
უდიდეს ბედნიერების
ჩვენა ვართ მომსწრე, მპყრობელი
და გვმართებს ერთხმად შევძახოთ
ძლევისა საგალობელი!..
ჩითსა და ნარმას მისტირის
თავისუფლების მფლობელი!
მე ხამს ჩავიცვამ, რომ მევქმნა
ძლევისა საგალობელი!..
თეთრ-პურსა ჯავრობს ვილაცა
თავისა უარმყოფელი!..
და განა მჭადზე არ ითქმის
ძლევისა საგალობელი!..
ხომ ხედავთ, როგორ დაიმხო
ის ჩვენი დამამხობელი!
აწ მათ იგლოვონ, ჩვენ კი ვთქვათ
აქ ძლევის საგალობელი!..
ჩემს თვალში ხარობს ქვეყანა,
ჩემი მამული მშობელი
და კიდით კიდე გაისმის
ძლევისა საგალობელი!..

დ. თომაშვილი.

✦ **მატრებლის გადავრდნა.** 23 ნოემბერს კახეთის რკინის გზაზე სად. ბადიაურიდან 90 ვერსზე, ლიანდაგს გადასკდა ორთქლმავალი და რამოდენიმე ვაგონი. მსხვერპლი არ არის.

✦ **მასწავლებლების ჯამაგირების** საკითხი ამ ერთ კვირაშ. გატარდება დამფუძნებელ კრებაში.

✦ **დ. ღამბაშიძე** ინგლისსა და ამერიკაში გაემგზავრა.

✦ **სომხეთ აზერბეიჯანის შეთანხმება.** გიორგობისთვის 23 სომხეთსა და აზერბეიჯანს შორის ზანგეზურგის საკითხზე შეთანხმება მოხდა.

✦ **ბათომში შესვლისთვის.** ბათომში შესვლისთვის საზღვარ გადმოსვლისთვის საჭირო აღარ არის. ბათომში ჩასულმა ქართველებმა თავიანთი მოწმობები საქართველოს კონსულს უნდა შეამოწმებინონ.

✦ **შეშა.** ქუთ. ქალ. გამგეობის სასურსათო განყოფილება აცხადებს, რომ ყველა დაწესებულებებს შეუძლიათ მიიღონ თვისი ხვედრი შეშა მოსამსახურეებისთვის ხვედრი შეშის ფული უნდა წარმოადგინონ განყოფილების სალაროში.

✦ **მომხმ. საზ. „კოოპერაციის“ გარშემო.** 24 ნოემბერს ქუთ. მომხმ. საზ. „კოოპერაციის“ გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ილია ბახტაძის თავმჯდომარეობით შესდგა „კოოპერაციის“ გამგეობის კრება. კრებამ დაადგინა: სიმონ წერეთელს, რომელსაც თფილისში (არჩეულია კოოპ. კავშირის გამგეობის წევრათ) სამსახურში გადასვლის გამო გამგეობის წევრობიდან მოუხდა წასვლა, გამოეცხადოს გამგეობის სახელით მადლობა „კოოპ.“ საკეთილდღეოთ გამგეობაში გაწეული ენერგიული და გულწრფელი მუშაობისათვის; გამგეობამ აგრეთვე გულმტკივნეულობით აღნიშნა ფაკტი მეორე მუშაკის გამგე დირექტორის გიორგი ტუსკიას კოოპერაციიდან წასვლის (არჩეულია ქუთ. რაჭის და ლეჩხუმის მარზების კოოპ. კავშირის გამგეობის წევრათ) და დაადგინა: მასაც „კოოპ.“ ხან მოკლე, მარა ნაყოფიერ მუშაობისათვის გამგეობის სახელით მადლობა მოუხდეს.

სიტყვა

თქმული ქუთაელ მიტროპოლიტის ნაზარის მიერ ქუთ. **მთავარანგელოზის** ეკლესიაში 21 ამა ნოემბერს.

აღვსებული სულიერი სიხარულით, და სიყვარულით მოგიოლოცავთ, საყვარელნო, თქვენი ტაძრის დღესასწაულ-მთავარანგელოზობას! მიქელ მთავარანგელოზი იყოს თქვენი შემწე და მფარველი.

დღეს, როდესაც ქუთაისის უძველესი ტაძრის დღეობაა, უნებლიეთ თვალწინ მეშლება სარწმუნოებრივი აღტაცება-აღფრთოვანება ჩვენი წინაპრებისა: ის ბედნიერი დრო, როდესაც ადამიანის ცხოვრების ყოველი ნაბიჯი ერთითა, პირითა და ერთიანთა გულითა აქებდენ და ადიდებდენ ღმერთსა, მაშინ არ იყო ჩვენი ერის პარტიებად და ჯგუფებათ დაყოფა. იყო მარტოთ და მხოლოდ ქრისტეს-მორწმუნე ქართველი ერი. სარწმუნოება შეადგენდა მისი ცხოვრების დედა ძარღვს და იმ ქვაკუთხედს, რომელზედაც შენდებოდა, იშლებოდა და ჰყვავოდა პირადი, ოჯახური და საზოგადოებრივ-სარწმუნოებრივი ცხოვრება. ამ ნიადაგზე ჩვენმა ერმა არამც თუ აავსო თავისი ლამაზი ქვეყნის კუთხეები სარწმუნოებრივ-განმანათლებელი ცენტრებით, არამედ ამგვარივე ცენტრები შეჰქმნა, გააჩინა უცხო ქვეყნებშიც: იერუსალიმ ანტიოქიაში, შავ და სინას მთებზე, სტამბოლში და ძველ ათონში და ბულგარეთში. ამავე დროს აწარმოებდა მოსისხლე მტრებთან სასტიკ ომებს, რომელთა შედეგები იყო ხშირად ჩვენი ქვეყნის დაქცევა-განადგურება, მაგრამ ქრისტიანობით მძლავრათ ქცეული ერი მკვლავ სისწრაფით ანახლებდა დანგრეულ ცხოვრებას.

სარწმუნოების ნიადაგზე მან გამოაქანდაკა თავის მაღალი ზნეობა, გამოსჭედა თავისი მაღალი კულტურა.

ქრისტიანობის მიღებიდან მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ერის იდეალი ზეცა იყო, და ქვეყნიურ ცხოვრებას მისთვის იმდენათ ჰქონდა მნიშვნელობა, რამდენათაც ხელს უწყობდა მისს ზეციურ იდეალების განხორციელებას. აი ამგვარი ბეჭედი აზის ქართველი ერის ცხოვრებას, მის აზროვნება-შემოქმედებას მრავალ საუკუნეთა განმავლობაში.

შემდეგ, როდესაც ჩვენმა ერმა სარწმუნოებას ზურგი შეაქცია, ზეციდან ქვეყნად ჩამოვიდა, დასტოვა ზეციური იდეალები და მიწაზედ დაიწყო ცხოვრების მიზნების ძებნა, ბუნებრივად შეირყა მისი სარწმუნოება, უმაღლესი ფაქტორი დღემდის მისი ცხოვრებისა. სარწმუნოების დაცემამ შეარყია ოჯახურ საზოგადოებრივი ცხოვრება, ვინაიდან მას ქვეშ გამოეცალა ის მტკიცე საფუძველი, რომელზედაც ის იყო დაყრდნობილი. ოჯახმა დაკარგა მისი ძალა. საზოგადოებაში ფეხი მოიკიდა ანარქიამ. დაიკარგა ძველი ძმობა, ერთობა და სიყვარული და მის ნაცვლათ გამეფდა საშინელი ეგოიზმი, რომელიც ქვეყანას ჩაყლაპვას უქადის.

ამ ნიადაგზე ძმა-ძმას არ ინდობს, მამაშვილს, ცოლი ქმარს. გაჩაღდა კლასობრივი შური და მტრობა, ყაჩაღობა ავაზაკობამ, კაცისკვლა—ქურდობამ, მატარებლების დამსხვრევა-დანტვრევამ გაცარცვის მიზნით და ათასმა სხვაგვარმა უბედურობამ ფართოთ გაშალა დღეს ფრთები. სარწმუნოების შეფერხებ-მოსპობით ფიქრობდენ ხალხის გაბედნიერებას, ოქროს დროს შეჰქმნას და ამის ნაცვლათ ხალხი თანდათანობით უფსკრულისაკენ მიექანება. დედა მიწაზე სარწმუნოების უარის მყოფელ ერს არასოდეს არ გაუხარია, ის ან მთლათ გამქრალა და ან სხვა უცხო ერში გათქვეფილა.

ამას გვიმტკიცებს ებრაელთა ერი, რომელიც გაიფანტა რა სხვა და სხვა ქვეყნებში, დაკარგა ენა და ასე გასინჯეთ გარეგნული სახე, მაგრამ სარწმუნოების მეოხებით ის მაინც ერთს შეკავშირებულ ერს წარმოადგენს. სარწმუნოების დაკარგვა იწვევს ზნეობის დაცემას და ზნეობის დაქვეითება კი დამღუპველად მოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედობს ერზე, ამის მაგალითებს მსოფლიო ისტორიაც ბევრს იძლევა.

ამისთვის საჭიროა, საყვარელნო, გამოვფხიზლდეთ; დაუბრუნდეთ ჩვენს აღმზდელ ეკლესია — სარწმუნოებას. აღვადგინოთ ის ჩვენს გრძნობა-გონებაში და მაშვინ დავამყარებთ ისეთ ცხოვრებას, რომლის საფუძველზედ, შესაძლებელია აშენდეს ყოველგვარი ბედნიერება ერისა, და მაშინ ბოროტებასაც ფრთები შეეკვეცება. ახლა კი ხალხი რაღაც სასწაულმომქმედ მოვლენას ელის, რომელიც გააუმჯობესებს მის ცხოვრებას, შეარიგებს მდიდარს და ღარიბს, მაგრამ სრულიად ამაოდ ელოდებიან ამისთანა მოვლენას.

მაშ, საყვარელნო, დავინთოთ ჩვენს გულში სარწმუნოებრივ-დაუშრეტელი ცეცხლი, რომელიც გაგვინათლებს ცხოვრების გზას და მოგვანიჭებს ქვეყნიურ და ზეციურ კეთილ-დღეობას — ამინ.

პატარა ფელეტონი

როგორ გავბედე კალოშის ყიდვა?

ბახტაძისეული ფეხსაცმელი აგერ აქამდი მომყვა და ძლივს სული კიდევ უდგას. მაგრამ როდემდის მეყოფა? ყველაფერს დასასრული აქვს — და, აი, ამ წვიმების დროს ეს დასასრული კიდევაც დაიწყო! ამ საშინელ ამინდში გიმნაზიიდან რომ შინ დავბრუნდი, მაშინვე ფეხი გავიხადე, რომ დასოველებული წინდაც გამემშრალებია და გაციებული ფეხიც ცოტა შემეთბო. იმისთანა თქვენს მტერს, მე რომ სანახავი ვნახე: ჩემი წაღა ნაკერავში გახსნილა, დაუბჩენია პირი, ჰავჰავაძის ქუჩის ლია-ტალახი შიგ შეპრილა!.. რაღა ვქნა? რაღა მეშველება? ვის მივადგე, ვის შევჩივლო? ხვალ კიდევ წერა მაქვს დანიშნული და გიმნაზიაში უნდა წავიდე, რაღაც უნდა დამიჯდეს!.. მარა როგორ წავიდე? ფეხშიშველა? არა და — ფეხსაცმელი აღარა მაქვს!.. დავაკერებიო? ესეც ძვირათ ჯდება! ძვირათ. იმიტომ რომ ჩემს ჯიბეში, ჩვეულებრივ, თაგვები დანავარდობენ!..

— ამას წინათ, გამიწყრა ღმერთი და — ჩემს ბავშებს ორი გირვანქა პური ვუყიდე. 26 მანეთი გადამახდევია იმ ღვთის უარმყოფელმა!.. მაგრამ ბავშების საცოდაობამ აღარ დამაყენა და გავბედე. ეყოთ საწყლებს, რაც სომეხ-ქართველ-ურია ჩარჩების შვილებს უყურებენ, როცა ისინი ყოველ დღე თეთრ პურს მიირთმევენ და ესენი კი იმავე დროს გულდაწყვეტილები ცრემლებს ყლაპავენ!..

ნეტავი, თქვენის ბედნიერებით, არც მეყიდა!.. იმ დღეს ორ გირვანქა პურზე ჩემი ბავშები ერთმანეთს დაერიენ, ველარ დავაზავე და მეც ვილტოდი ბაზრისკენ, — გავიქეცი, დავემალე ბავშებს!.. არ მეყიდა-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ბავშების ჩხუბსაც გადავრჩებოდი და „ფულიც“ შემრჩებოდა!.. ეს „შერჩენილი“ იქნებ ამ ჩემს „პირდაღებულ“ ფეხსაცმელს მოარჩენდა და მეც ერთხანს თავს მოვიტყუებდი, იმერლისა არ იყოს, ნიორ წყალს რომ მიირთმევდა, და ეგონა კი, რომ ზურგიელსა ვჭამო!..

ჰო და — აღარც ფული, აღარც პური და პირდაბჩენილი ფეხსაცმელი ხელში!.. როგორი სურათია? მაგრამ ამ დროს ოცნების მორევში გადავეშვი და ჩემს თვალწინ აიმართა ბრწყინვალე დაპირება ბრწყინვალე პირისა: თვით ნ. ციცაძე დაგვპირდა, მასწავლებლებს ჯამაგირს 100% გავუდიდებთო. მოდით და ნუ დაიჯერებთ ამას!.. თვით განათლების მინისტრმა მოისმინა ჩვენი მუდარა, თვით ის შეგვპირდა, მისი ამხანაგიც თანახმა იყო ამ მომატებისა! დიაღ, ეს ასე იყო, თორემ მარტო ამხან. ა. თორაძის სიტყვას არ დავიჯერებდი!..

ჩემს თვალწინ იდგა მინისტრის ამხანაგი, ოდესმე ჩემს მდგომარეობაში მყოფი პირი; წინ მედო მისი მიცემული თამასუქი — დღესასწაულებრივი დაპირება: „ყოველივე წარხდეს, სიტყვანი ჩემნი არა წარხდენო“... ჰო და — ამ თამასუქმა და დაპირებამ გამიმთელა გული წყლული და სალბუნი მცხო!..

შენელდა სიცივე-შიმშილობის საშინება, ჩემს ფეხსაცმელსაც ეშველა და ჩემი უპირობაც განახევრდა!

მხიარულათ გადავხედე შვილებს და უმცროსი მათგანი გულში ჩავიკარი, — ნუ გეშინია, შვილო, ჯამაგირს მომიმატებენ, პერანგსაც გიყიდი და ხან და ხან პურსაც გაგაშინჯვიებ — მეთქი!..

ბავშმა მადლობის თვალებით შემომხედა და კისერზე მომესკვნა.

მომიმატებენ კი — მაგრამ ახალი ფეხსაცმლის ყიდვა მაინც დიდი რისკია! —

— ვიფიქრე, 2000 მანეთს ვინ ნომაქვავებს, ნაკლებ ჩვენი მადა-გახსნილი მეწაღეები არ მოგვცემენ.. ვიფიქრე, ვიფიქრე, ცოლს დავეკითხე, მტერ მოყვარე შევაწუხე — და ბოლოს კალოშის ყიდვა გადავწყვიტე. — მშრალათ მაინც ვივლი და ეს ძველი ფეხსაცმელიც ერთხანს კიდევ შემენახება — მეთქი! — შევაწუხე იგივე მტერ-მოყვარე, ვისესხე ფული და მივმართე უკრაინცევს.

— 800 მანეთიო! — იყო პასუხი.

დამეცა მეხი! ეს ხმა ჩემთვის ჭექა-გრგვინის ხმა იყო: — გუშინ წინ ჩემმა ნაცნობმა 700 მანეთად იყიდა! — შევუბრუნე სიტყვა.

— ის „პარტია“ გათავდა! ახალი „პარტიადან“ ნაკლებ არ გაიყიდება!..

გამოვბრუნდი დამარცხებული.

ბედათ, ელიგულაშვილის რიგს ავუყევი; ერთ მაღაზიაში კალოშს მოვკარი თვალი. შევედი და როგორც იყო, 700 მანეთად ვიყიდე!

კიდევ მადლობა გადავუხადე და წამოვედი გახარებული!..

კალოში კი ვიყიდე — და ეს მეორე დღეა — მაცვია, მაგრამ სატარიფო პალატის „დადგენილების“ შემდეგ ჩემს ვალს ვინ გაისტუმრებს, ეს კი აღარ ვიცი!..

მასწავლებელი დ. — ძე.

მეფუტკრეობა.

წერილი 1.

სახელმწიფოს კეთილ-დღეობის განმამტკიცებელი ძალა ეკონომიური მხრივ არის უპირველესად ყოვლისა მეურნეობის აყვავება — განვითარება.

საქართველოს სახელმწიფოს წარსულ ისტორიაში ერთი დრო ოქროს ხანად არის აღიარებული. ეს ის დრო იყო, როდესაც მეურნეობა საუკეთესოდ იყო დაყენებული, მამულისათვის გულშემატკივართა მეოხებით. ეს ის დრო იყო, როდესაც თამარ დიდის გარშემო მჭიდროთ შეკავშირდა საქართველოს ყველა ერები, სახელმწიფო გაფართოვდა, განვითარდა პოლიტიკურად, გონებით და წინ წაიწია ეკონომიურად. ის დროც წავიდა და საქართველოც მუდამ განსაცდელში იყო და დაქვეითებისკენ დაეშვა. დღეს კი დაუდგა მას ახალი ხანა აღორძინებისა, აყვავება — განვითარებისა და გაძლიერებისა. რესპუბლიკანური მართვა-გამგეობა საბაბი არის საქართველოს სახელმწიფოს მომავალი დიდებისა და ძლიერებისა. დღეს ყოველგვარი დარგი საზოგადო ცხოვრებისა თავისუფლად ფრთა გაშლილი შეიძლებს მუშაობას სახელმწიფოს განმტკიცებისათვის. სხვათა შორის მეურნეობა და მისი აყვავება-განვითარება საქართველოს რესპუბლიკის წინასწარ-ლოგობისათვის საუკეთესო წყაროა. ჩვენი ერობების პროგრამაში მეურნეობის საკითხი პირველ საკითხათ არის დაყენებული, მაგრამ ერობათა გამგეობანი რადგან მათ ხედათ წილად წახელმწიფოს ადგილობრივად ყოველგვარად მოწყობის დასაწყისი და ისიც ამ აუწერელ სიძვირისა და სიმშილის დროს, მარტოდ მარტო ვერ შესძლებენ ამ საქმის მოგვარებას. ამიტომ საჭიროა კერძოთ შემდგარი საზოგადოებანი, მათთან ერთად ერთი იდეით გამსჭვალულნი სამშობლოს აღორძინებაში გვერდით ამოუდგენან და ამ რიგად მეურნეობაში თავის წვლილი შეიტანონ.

ასეთმა კერძო საზოგადოებამ უკვე იჩინა თავი ქუთაისში. აგერ უკვე შვიდი თვეა არსებობს კათოლიკეთა მოძღვრის დონ დამიანე საკაშვილის, დეკანოზი პლატონ ცქიტიშვილის და უკვე გარდაცვალებულის მღვდლის ვლადიმერ მაჭარაშვილის ინიციატივობით პირველი მეფუტკრეობის ამხანაგობა. ხსენებულ ამხანაგობას უკვე აქვს შესაფერისი ორგანიზაცია, აქვს შეძენილი და იძენს მრავალ ფუტკარს საჭირო ინვენტარით, აქვს შემუშავებული და დამტკიცებული წესდება, ყავს გამგეობა, რომელიც ენერგიულად ეწევა მუშაობას ამ ფრიად სიმპატიურ და საზოგადო სასარგებლო და უსაჭიროესს მეურნეობის დარგში. შემდეგ წერილში მექნება მოხსენებული დაწვრილებით ისტორია და მდგომარეობა ამ დაწესებულებისა.

ჰ.

კორესპონდენცია.

თერჯოლის საზოგადოება. კვირას, 9 ნოემბერს (ახ. სტ.) სიქთარუის სკოლის შენობაში, უნდა მომზდარიყო სოფლის კრება ადგილობრივი სკოლის შესახებ. კრებაზე ხალხი ძლიერ ცოტა მოვიდა, მაგრამ დასწრეთ მაინც [illegible] ხალხმა [illegible] გარჩევა. კრებას თავმჯდომარეობდა მასწ. ვლ[illegible] ... ვნათ მასწ. მიხ. ქოჩიაშვილი. კრებამ დაადგინა, მოწვეულ იქნას ხელახალი კრება ოთხშაბათს, 12 ნოემბერს, რომელიც მართლაც შესდგა ამ დღეს, მღ. მილეტი რიჟამაძის თავმჯდომარეობით და მასწ. მიხეილ ქოჩიაშვილის მდივნობით. მართალი იყო სკოლის გამგე, როცა ამბობდა სკოლაში მეცადინეობა შეუძლებელიაო. და ამიტომ საჭიროა ჯერ სკოლის შეკეთება და შემდეგისთვის ახალის აგება, წინააღმდეგ შემთხვევაში მეცადინეობას შევწყვეტო. სკოლის მნახველი აშკარად დაიწმუნდება, რომ თუ შენობა არ შეკეთდა ან დღეს, ან ხვალ წაიქცევა და საცოდაობა მოხდება სწავლის დროს.

კრებამ დაადგინა: „ახალი შენობის აგებამდე შეაკეთონ ძველი შენობა მოწაფეების მშობლებმა“-ო. ახალი შენობის ასაგებათ აირჩიეს შვიდი კაცი.

უმრავლესობას ძველ ადგილზე ღარ უნდა ახალი შენობის აგება, რადგან სოფლის ცენტრად არ ითვლება და მხოლოდ მკირე ნაწილს ემხრობა.

შუაგული ალაგი ვერ მოუნახავთ, და ამიტომ რჩებოდა ყოველთვის შენობა აუგებელი. მცხოვრებლები ძლიერ მონდომილი არიან შენობის აგებისა და სკოლის გაღონიერებაში, მაგრამ ეს გარემოება ყოველთვის საქმეს აფერხებდა.

ტყეების მოსპობას საზოგადოთ დიდი ზიანი მოაქვს მცხოვრებთათვის. სამაზრო ერობამ დ. გაბეხაძისაკენ ჩამორთმეული ტყე მისცა მათ, ვისაც ხარი არ ყავდა; შევიდენ და სჭრიან ტყეს. მართალია ერთის მხრივ, სარგებლობაა გლეხებისთვის, მაგრამ არც იმდენი, რასაც ზარალს ნახავს ხალხი ტყის მოსპობით. ტყის მოსპობა როგორც ჯანმრთელობისათვის, ისე ვაზებისთვის დიდათ მავნებელია. საჭიროა ტყის არამც თუ განადგურება ბ მოსპობა, არამედ გაშენება.

გლეხები ამ ტყიდან არ სარგებლობენ, მაგრამ თავი მაინც გაქონდათ, ასე იქნებოდა ეხლაც და არც ტყეს მოსპობდენ, რომ არ გაეცათ.

ყოველი თერჯოლის საზოგადოების ინტელიგენტი, რა მიმართულებისაც უნდა იყოს იგი, შეხვედრისთანავე გეკითხება: „კაცო ეს მაზრის ერობა რას შვება, რატომ არ უჩქარის თერჯოლის თემის ხმოსნების დამტკიცებას, რაც მეტი ხანი გადის მით უფრო საქმე ხდება ადმინისტრაციის უმოქმედობისა გამო“-ო.

და ეხლა მეც ვკითხულობ: მაზრის ერობა რატომ არ უჩქარის ხმოსნების დამტკიცებას ნეტავი?..

ვ. გუთნურისპირელი.

რედაქტორი - სარედაქციო კოლეგია.

სტამბა ნ. ფერაძის და ამხ. ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა, გოკიელოვის სახლი.